ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

2016 წლის ბიუჯეტის პროექტზე

განმარტებითი ბარათი

1. ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები (ნაშთის 20.0 ათასი ლარის ჩათვლით) განსაზღვრულია 5506,5 ათასი ლარით. 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2016 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 548,5 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 5 151,1 ათ. ლარით, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურის სამუშაოებზე თანხის მოცულობა ასახული არ არის, ასევე 2016 წლის პროექტში გათვალისწინებული არ არის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანხები, რომლებზედაც თანხების გამოყოფა მოხდება 2016 წლის დასაწყისში.

ბიუჯეტის შემოსავლებში საშემოსავლო გადასახადის შემოსასვლელი რაოდენობა შეადგენს 460,0 ათას ლარს. ქონების გადასახადიდან გაანგარიშებულია შემოვიდეს 400,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 1 656,1 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 1 528,5 ათასი ლარი, აქედან წიაღისეულით სარგებლობის - 1252,0 ათასი და ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის - 90,0 ათასი ლარი. შემოსავლები მიწის იჯარიდან მართვაში 4,0 ათასი ლარი (ქირავნობა, უზურფრუქტი და სხვა).

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები გაანგარიშებულია 21,6 ათასი ლარი, მ. შ. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი 0,2 ათასი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი 6,4 ათასი და სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (მშენებლობის ნებართვა) 15,0 ათასი ლარი, დეპოზიტზე და ანგარიშზე დარიცხული პროცენტები – 32,0 ათასი ლარია გათვალისწინებული და ჯარიმები, სანქციები და საურავები 40,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 80,0 ათას ლარს. სულ ადგილობრივი წყაროებიდან შემოსავლები შეადგენს 2596,1 ათას ლარს.

პროექტით გათვალისწინებულია გამოიყოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარებები (ტრანსფერი) 2890,4 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 2707,4 ათასი ლარი და მიზნობრივი დანიშნულების (დელეგირებული უფლება– მოსილების განსახორციელებლად) – 183.0 ათასი ლარი; წლის დასაწყისისთვის რიცხული თავისუფალი ნაშთი მიმართული ხარჯების დასაფარავად კი შეადგენს 20.0 ათას ლარს.

2. ბიუჯეტის გადასახდელები.

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის საჭირო თანხებზე, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და გათვლილია სულ 5 506,5 ათასი ლარი, აქედან: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე დაიხარჯება 2 060,9

ათასი ლარი, მათ შორის: წარმომადგენლობითი ორგანოების შენახვაზე 700,0 ათასი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე (მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურები - 1 310,9 ათასი, კავშირგაბმულობის ხარჯი, ინტერნეტი და კორპორაციული მომსახურება 25,5 ათასი, საარქივო მომსახურების ხარჯი 9,0 ათასი და ადმინისტრაციული შენობის კომუნალური მომსახურების ხარჯი 5,4 ათასი ლარი) – 1 140,9 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარი;

თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე დაიხარჯება 117,5 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი 95,9 და 21,6 ათასი ლარი ადგილობრივი შემოსავლებიდან)

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე – 515,1 ათასი ლარია მიმართული, აქედან:

საგზაო სამუშაოებზე პირველ ეტაპზე (დიდთოვლობა, სტიქია და სხვა საგზაო სამუშაოები) დაიხარჯება 35,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ კომუნალური სამსახური ,,სხივი“– ს სუბსიდირებაზე დაიხარჯება 320,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ ,,კურორტ ბახმაროს“ დაფინანსებაზე გამოყოფილია - 70,0 ათასი ლარი.

შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების ხარჯებზე დაიხარჯება 25,6 ათასი ლარი;

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება საწყის ეტაპზე დაფინანსდება - 10,0 ათასი ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდება 54,5 ათასი ლარით (უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლიაციას მოხმარდება 4,0 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა 50,5 ათასი ლარით განხორციელდება დაბის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაოები).

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება 980,0 ათასი ლარი, აქედან ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს შენახვაზე 880,0 ათასი ლარია განსაზღვრული. (გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასის გაზრდა)

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 80,0 ათასი ლარია გათვალისწინებული;

განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 20.0 ათასი ლარი მოხმარდება;

სპორტული, კულტურული, ახალგაზრდული ღონისძიებების და რელიგიის შენახვას 1 197,0 ათასი ლარი მოხმარდება, აქედან სპორტის განვითარების ხელშეწყობას 459,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირებაზე – 105,0 ათასი, ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე – 210,0 ათასი ლარი და შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო 2009“ – ს სუბსიდირებაზე 140,0 ლარი. გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტის ჩოხატაურის ორგანიზაციის დაფინანსებაზე 4.0 ათასი ლარი დაიხარჯება;

კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება 695,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე – 270,0 ათასი ლარი დაიხარჯება, ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების სუბსიდირებაზე – 105,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების – 120,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლის სუბსიდირებაზე – 75,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ სამხატვრო გალერეას სუბსიდირებაზე - 35,0 ათასი ლარი და ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე - 90,0 ათასი ლარი დაიხარჯება. ახალგაზრდული ღონისძიებებისდა ტურიზმის პროექტების თანადაფინანსებას 25.0 ათასი ლარი მოხმარდება, საახალწლო ღონისძიებებზე 8,0 ათასი ლარი დაიხარჯება, რელიგიის დაფინანსებაზე კი 10,0 ათასი ლარი;

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 636,0 ათასი ლარით დაფინასნდება, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვას მოხმარდება 86,0 ათასი ლარი, (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 66 ,0 ათასი ლარი და 20 ,0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით) დანარჩენი 550,0 ათასი ლარი სოციალურ დახმარებებზე დაიხარჯება, მათ შორის:

- მარტოხელა, უპატრონო პირთა სარიტუალო მომსახურების ხარჯებზე - 2,0 ათასი ლარი;

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარებაზე - 88,0 ათასი ლარი

- ლტოლვილთა დახმარებაზე (სათბობის შეძენა, სხვა აუცილებლობიდან გამომდინარე ერთჯერადი დახმარება და დაკრძალვის ხარჯი) - 11.0 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი 8,8 ათასი და ადგილობრივი თანხებიდან 2,2 ათასი ლარი);

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისადმი დახმარებაზე - 12,3 ათაი ლარი; (მიზნობრივი ტრანსფერი 12,3 ათასი და ადგილობრივი თანხებიდან 2,0 ათასი ლარი);

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაზე 225,1 ათასი ლარი;

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვაზე 207,6 ათასი ლარი;
(იხ. დანართი).

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**